

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 11 ნოემბრის კოსტავას ქუჩის მოსახლეობასთან
შეხვედრის ოქმს N1.

დანართი: N1-4(ოთხი)ფურცელი.

პატივისცემით,

ამირან ქანთარია



საკრებულოს წევრი

საკრებულოს წევრები

საკრებულოს წევრის ამირან ქანთარიას

ამომრჩევლებთან შეხვედრის

ოქმი N1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ქალაქი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11.11.2016 წელი 16.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ამირან ქანთარია, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

დეპუტატმა ამირან ქანთარიამ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი წელიწადში ერთხელ ვალდებულია მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს წარუდგინოს ანგარიში. მან აღნიშნა, რომ არის საკრებულოს - სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიისა და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის, აგრეთვე საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“-ს წევრი. ძირითადი სამუშაოები ხორციელდება კომისიებსა და ფრაქციებში, რის შემდეგაც უფრო მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხები განიხილება საკრებულოს სხდომებზე. დეპუტატის აზრით, ამ ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს წევრების მიერ გაწეულ იქნა ნაყოფიერი მუშაობა. ის ცდილობდა შეძლებისდაგვარად პირადად მიეღო მონაწილეობა ყველა საკითხის განხილვაში, მაგრამ მისთვის პროფესიიდან გამომდინარე პრიორიტეტული ის საკითხებია, რომლებიც მედიცინას უკავშირდება.

დეპუტატმა ამირან ქანთარიამ დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროგრამად C-ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა დაასახელა. ამჟამად საქართველოში ამ დაავადებით 100 000 მეტი ადამიანია დაინფიცირებული. მკურნალობა დაახლოებით 80 -85 000 დოლარი ჯდება, რაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის აქამდე ფინანსურად შეუძლებელი იყო. ეს პროგრამა სრულად აფინანსებს მკურნალობის ხარჯებს, რამაც მრავალ ადამიანს სიცოცხლე

შეუნარჩუნა. მაგრამ მხოლოდ მკურნალობით საქმეს არ ეშველება, თუ არ მოხდა დაავადების გავრცელებაზე კონტროლი. კერძოდ, საშიშროებას წარმოადგენენ სამედიცინო დაწესებულებები, ქალთა და მამაკაცთა სალონები. მართალია, საავადმყოფოებში ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან ჯანდაცვის სამინისტრო მეტ - ნაკლებად აკონტროლებს სიტუაციას. რაც შეეხება სალონებს, საქმე აქ უფრო რთულადაა. გასულ წელთან შედარებით მუნიციპალიტეტში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. სანიტარული ნორმების დარღვევის აღმოჩენისას დაწესებულების მეპატრონეს პირველ ეტაპზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო განმეორებით შემთხვევაში წესდება გარკვეული სანქცია ჯარიმის სახით. ამ საქმეს ემსახურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. კონტროლისთვის საჭიროა საზოგადოების მეტი ჩართულობა. თითოეულმა მოქალაქემ უნდა მიუთითოს სალონის მეპატრონეს, თუ მის დაწესებულებაში სანიტარული ნორმები ამა თუ იმ ფორმით იქნება დარღვეული.

დეპუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ არანაკლებ წარმატებულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელშიც ის ყველაზე აქტიურადაა ჩართული. წინა ხელისუფლების დროს, ოჯახისთვის ავადმყოფი ადამიანი, მით უმეტეს თუ ის საოპერაციო იყო, წარმოადგენდა ტრაგედიას, რადგან უნდა გაეყიდათ სარჩო - საბადებელი ან აეღოთ ვალები. ამ პროგრამამ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლიდან, ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად სოციალური სტატუსისა, მისცა საშუალება იმკურნალოს და იზრუნოს საკუთარ ჯანმრთელობაზე. სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მკურნალობა და ოპერაციები - გეგმიურია ის თუ სასწრაფო - უფინანსდებათ სრულად 100 % -ით. პენსიონერთა კატეგორია იხდის მკურნალობისა და ოპერაციის საფასურის მხოლოდ 10 %, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი კატეგორია - 30 %. მაგრამ ამ პროგრამას აქვს რიგი ხარვეზებისა, რომელთა დახვეწაზე ინტენსიურად მიდის მუშობა. მთავრობა ამ პროგრამაში 2017 წლიდან დებს ესენციური (აუცილებელი და პირველადი დახმარების) 300 დასახელების მედიკამენტს, რომელთა რეალიზაციისთვის დაწესდება ზღვრული ფასები, რაც უდავოდ შედავთი იქნება მოსახლეობისთვის, ხოლო უმწეოთა კატეგორიას, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტების გარკვეული ნაწილი მიეცემათ უფასოდ.

დეპუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ერთ - ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს დაფინანსების საკითხი. ამჟამად გუნდის ვალი 900 000-დან შემცირებულია დაახლოებით 700 000 - ლარამდე. დეპუტატი არაერთხელ დაინტერესდა იმ თანხის ბედით, რომლითაც ფინანსდება კლუბი. მან პირველმა გააჟღერა ამ საკითხთან მიმართებაში სიტყვა „კორუფცია“. თანხა შესაძლოა იფლანგება, გუნდი ვერ აღწევს სპორტულ წარმატებებს, პირიქით - ლიგიდან გავარდნის კანდიდატია. დეპუტატის აზრით, არ შეიძლება საფეხბურთო კლუბი არსებობდეს მხოლოდ მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯზე, საჭიროა სპონსორების და ინვესტორების მოძიება, მაგრამ ვინც კი ასეთი გამოჩნდა, ყველამ მოინდომა „გურია“-ს ბაზის ხელში ჩაგდება, მაგრამ დღევანდელმა საკრებულომ არავის მისცა ამის უფლება და გუნდს ბაზა შეუნარჩუნა.

ავთანდილ მეიშვილმა აღნიშნა, რომ კლუბში არ ხდება ადგილობრივი კადრების დასაქმება, არამედ ჩამოჰყავთ სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც ითხოვს დამატებით ხარჯებს.

დეპუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის სათანადო მუშაობისა, ამ მხრივ მაინც გარკვეული ხარვეზებია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე. აუცილებელია ამაღლდეს საზოგადოებრივი

თვითშეგნება, რათა არ დაანაგვიანონ გარემო, კარგი იქნება, თუ ამ მხრივ გაიზრდება აგიტაცია - პროპაგანდაც.

დეპუტატმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში წარმატებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სამუშაოების ჩატარება მიმდინარეობს გარკვეული ხარვეზებით, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

დეპუტატმა ამირან ქანთარია გულისტკივილი გამოთქვა, რომ ქალაქში ადგილი ჰქონდა ვანდალიზმის ფაქტს, კერძოდ დააზიანეს ი.სტალინის ბიუსტი. მან აღნიშნა, რომ მართალია ყველა დიქტატორს არ უნდა დაუდგან ძეგლი, მაგრამ არ შეიძლება ძეგლისადმი ვანდალური მოქცევა - ეს მსოფლიო კანონია. გაივლის დრო და მომავალი თაობა თავისდავად აიღებს ამ ბიუსტს. გარკვეული კატეგორიის ხალხს - ვეტერანებს ეს პიროვნება ფენომენალურად უყვართ და სწამთ, ამ ეტაპზე კი ამ მოხუცებს გული არ უნდა ეტკინოთ.

რუსუდან გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ ჭანტურიას ქუჩაზე გზის გასწვრივ გასაკეთებელია სანიაღვრე არხები, რადგან წვიმის დროს იტბორება ეზოები და შენობა-ნაგებობები. მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა განცხადებით შესაბამის სამსახურს, მაგრამ დღემდე არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა.

დეპუტატმა ამირან ქათარია აღნიშნა, რომ კოსტავას ქუჩაზე არის რამდენიმე ნაძვის ხე, რომელიც მოსაჭრელია, რადგან ქმნის სერიოზულ საფრთხეს. შესაბამისი სამსახურის პასუხი იყო, რომ მოსახლეობას მიემართა მათთვის განცხადებით, სპეციალისტები შეისწავლიდნენ საკითხს და ამის შემდეგ მიიღებდნენ შესაბამის ზომებს.

ავთანდილ მეიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ქალაქში ფუნქციონირებს საკანალიზაციო ქსელი, რომელიც მოძველდა, ფაქტიურად განადგურებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მიუხედავად მედიცინის სფეროში გატარებული წარმატებული რეფორმებისა, მედიკამენტების დაახლოებით 60% ფალსიფიცირებულია, წამლის მიღებას ხშირ შემთხვევაში შესაბამისი შედეგი არ მოაქვს. ის დაინტერესდა, თუ ვის ეკისრება ამ საკითხზე პასუხისმგებლობა. ამასთან მან მიმართა დეპუტატს თხოვნით მისი საკარმიდამო ნაკვეთის წინ მდებარე ცაცხვის ხის მოჭრის ნებართვის თაობაზე. აღნიშნული ხის ფესვები აზიანებს ეზოს და შენობის საძირკველს. სახლი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში. დაახლოებით 7 წელია ასეთ მდგომარეობაშია. მან არაერთხელ მიმართა ამის თაობაზე შესაბამის სამსახურს. გამოიყო კომისია, რომელმაც განმარტა, რომ ეს ხე შეტანილია „წითელ წიგნში“ და მისი უნებართვოდ მოჭრა ისჯება კანონმდებლობით.

ასმათ ვადაჭკორიამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ მათ მეზობელს, ხათუნა ვადაჭკორიას არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი, არადა ამას ნამდვილად იმსახურებს. არის მართლაც, უმუშევარი, სახლი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში. მართალია, მას ჰყავს შვილი, მაგრამ ის თავად ზრდის სამ მცირეწლოვან ბავშვს და ამასთან იმყოფება მძიმე სოციალურ პირობებში.


ეთერ ჩხაიძემ თხოვნით მიმართა დეპუტატს გაეწია დახმარება სოციალური სტატუსის აღდგენაში. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ ის და მისი ოჯახის წევრები წლების განმავლობაში

ემსახურებოდნენ სახელმწიფოს. ამჟამად ყველა უმუშევარია. მისთვის გაუგებარია, რატომ მოუხსნეს სოციალური დახმარება.

დეპუტატმა ამირან ქანთარია განმარტა, რომ ყველა სფეროში არის რაღაც გადაცდომები. საჭიროა ქმედითი ღონისძიებები და ბრძოლა მათი შეძლებისდაგვარად აღმოსაფხვრელად.

დეპუტატმა ამირან ქანთარია მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აღუთქვა, რომ მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ოპერატიულად მიაწვდის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება და ისინი შეძლებისდაგვარად დროულად მოგვარდეს.

საკრებულოს წევრი:



ამირან ქანთარია